



საქონლობა, სამეცნიერო და სალიბერალური ნახაბიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 42

ოქტომბერი 6 1896 წ.

№ 42

**შინაარსი:** იტალიის მეგვიდრე ვიქტორ ემანუელს შიერ დანიშნა შავი მის მთავრის ნიკოლოზის ქალის ელენესი. — გვირიდან კვირამდე. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „გველის“ კორესპონდენციები. — ჯემათის სიძველენი ა. ხანანაშვილისა. — უმანკო მეგობრობა, ლექსი რუს-იმერელისა. — კრიმინალური ანთროპოლოგია (შედეგი) გ. ბადრიძისა. — ჩვენი მწერლობა ილ. ნ.—შიქისა. — ჟურნალ-გაზეთებიდან და განცხადებანი. —

წარსული ექსი წლის „**ქეილი**“ (36 წიგნი) დათმობა სახალხო და სკოლის ბიბლიოთეკებს 8 მან. (1890, 91 და 92 წწ. „ჯეჯილი“ უკვე მო-

წონებული და ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევისაგან სკოლის ბიბლიოთეკებისათვის).



იტალიის ტახტის მეგვიდრე ვიქტორ ემანუილი.



მისი დანიშნული შავი-მთის მთავრის ნიკოლოზის ასული ელენე.

იჯალის მემკვიდრის ვიკტორ ემმანუილის მიერ დანიშნა შავი მთის მთავრის ნიკოლოზის ქალის ელენესი.



შავი მთის სამთავრო ორასი წელიწადია, რაც არსებობს ბალკანის მთებში. პირველათ დანიელ პეტრეს ძე ნეგოში გამოჩნდა შავი-მთის ერის წინამძღვრათ და ააყენა მთელი თავისი ოსმალეთის წინააღმდეგ. რამდენიმე წლის თავგანწირულ ბრძოლას შემდეგ გვირმა დანიილო ნეგოში ძლია ოსმალებს და განათავისუფლა მტრისგან თავისი გვირულათ მებრძოლი მამაცი ერი, რომელმაც თვით დანიილო ნეგოში ამოაჩია მთავრათ. დღევანდელი მთავარი შავი მთისა ნიკიტა, რომელსაც მთავარ ნიკოლოზს ეძახიან, ჩამომავლობს დანიილო ნეგოშის გვარიდან. მისი ქალი ელენე დაიბადა შავი მთის სატახტო ქალაქში ცეტიანში 1873 წელს. ის ახლა არის ოცდა სამი წლის საკვირველი შევნიერი სახისა და კარგი მოყვანილი ტანადია. მისი დიდრონი შავი თვალები მეტათ აცოცხლებენ ფერმკრთალს, სანდომიანს საესს, რომელსაც შავი სქელი თვა ხუჭუქათ დაჰკრია განიერ შუბლზე. ელენემ მიიღო ჩინებული განათლება, ლაპარაკობს იტალიურათ, ფრანგულათ, გერმანულათ, ინგლისურათ და რუსულათ, გარდა თავის სამშობლო ენისა. როცა ქალი წამოიზარდა, ის გაგზავნა მამამ პეტერბურგს სმოლნის მონასტრის ინსტიტუტში კურსის დასასრულებლათ, სადაც მან გაატარა სუთი წელიწადი. მთავრის ასული ელენე სილამაზესთან დიდი ნიჭური ქალიც არის. მამისგან მემკვიდრეობით პოეტური ნიჭი დაჰყოლია. შევნიერათ ხატავს და უკრავს ფორტეპიანზე. მის ღეჭებს აღტაცებაში მოჰყავს შავი მთის ხალხი. მოვიყვანთ სამაგალითოთ ერთ მის ლექსს, რომელიც უმანკო გრძნობით არის აღბეჭდილი:

„დღემ უთხრა ქალწულ ქალსა:  
„თუ გსურს იცნო ეს სოფელი,  
ნუ არიდებ ნურას თვალსა,  
თვალწინ გიდგეს შენ ყოველი.  
ქალმა დედას მოუსმინა  
და თვალება გაახილა:  
ნახა დიდებული მთები,  
ყვავილოვანი ქალები;  
მან შეტყვიტა მზე-ბრწყინვალესს,  
ცაში ეარსკვლავს მოკამკამეს,  
ზღვასა შავსა მოღრიალესს,  
მთის წყაროებს მოჩუხჩუხესს,

აფერადებულ ყვავილებს,  
ლამაზ ჩიტებს ჭრელ მოსილებს,  
მოოქრულ პურის თაველებს,  
მოარცხვით თავ ჩაკიდებულებს.  
მაგრამ როს თვალი დახუჭა,  
კვლავ უკეთესი რამ ნახა:  
საყვარელი წარმოუდგა,  
ღრმით გულში რომ ჩავსახა:  
ის იყო და მის საყვარელს  
მისი გული ტახტათ ედგა.  
ის შეტრფოდა თვის საყვარელს,  
საყვარელიც მას შეტრფოდა“.

წარსულ წელს იტალიის მეფე და დედოფალი მობრძანდნენ ვენეციაში, სადაც ხელოვნების ნაწარმოების გამოფენა იყო; აქვე იყო ამ გამოფენაზე მოწვეული შავი მთის მთავრინა ანა თავისი შეილებით. მას თან ახლდა შევნიერი ელენე. იტალიის კაროლმა ჰუმბერტმა მიიპატიჟა შავი მთის მთავრინა თავისი შეილებით. ის გაოცდა ელენეს შევნიერებით და გულში გადაწყვიტა ჩემ მემკვიდრეს უნდა შევერთო. თუმცა ეს განზრახვა ჯერ კიდევ არაინიცადა, მაგრამ ყველას აკერებდა, როცა ხედადნენ, თუ რა სიყვარულით ეტყეოდა ლამაზ ელენეს. კაროლი და კაროლვეა ხშირათ იპატივებდნენ შავი მთის მთავრის ნიკოლოზის სახლობას. ერთხელ თეატრში ჰუმბერტმა და მისმა მეუღლემ მარგარიტამ თავის ლოჟაში მიიწვიეს შევნიერი ელენე და ხალხიც ტამის კერით მიეკება. აქვე იჯდა იტალიის მემკვიდრე, ვიკტორ-ემმანუილი, რომელსაც თვალი არ მოუშორებია შავი მთის მთავრის ლამაზი ასულისთვის.

ამ წელს, თექვსმეტს აგვისტოს იტალიის მემკვიდრე გაემგზავრა ანტივარიის ქალაქში განუცხადებლათ. იქიდან შავი მთის მთავრის მემკვიდრე წაუძღვა პატივცემულ სტუმარს შავი მთის სატახტო ქალაქ ცეტიანში, სადაც მთავარმა ნიკოლოზმა სიყვარულით მიიღო სასიძო და აქ მოხდა ნიშნობა

რუსეთის ხელმწიფემ, რომლის მფარველობას ქვეშე იმყოფება შავი მთის მთავარი ნიკოლოზი, ნება დართო, რომ ელენეს, რაკი იტალიის მემკვიდრეზე თხოვდება, მიეღო კათოლიკის სარწმუნოება. ამას შემდეგ მალე უნდა მოხდეს ქორწილიც. საქმრო ელენესი ოცდა შეიდი წლის ააღვავდაა, თავის საცოლოზე სამი წლით უფროსი.



კვირიდან კვირამდე.



ასული კვირა ფრად შესანიშნავი იყო თ. ამატუნის გასამართლებით, დიდსა და პატარას ენაზე ეყრა თ. ამატუნის ამბავი: როგორ, რანაირათ მოხდა, რომ წარჩინებული გვარის კაცი, რომელსაც უნივერსიტეტი გაეთავებინა, რომელიც ითვლებოდა საუეთესო მოღვაწეთ სომხის საზოგადოებაში და ამ ოც-დაათი წლის განმავლობაში მას მიუღია მონაწილეობა ყოველ საზოგადო საქმეში, რაც კი კავკასიის აქეთა მხარეში წარმატების მომასწავებელათ იყო აღნიშნული, დანაშაულათ იცნეს?.. მისი მოღვაწეობა თითქმის თულისის წარმატებასთან ერთათ იზდებოდა და ბოლოს მას, როგორც გამოცდილს, ქუთაისს და საზოგადოების გულშემატკიერებს, ჩააბარა თულისის საზოგადოებამ ერთი დიდი საქმე — საქალაქო ბანკის მართვა, რომლიდანაც ქალაქი დიდ სარგებლობას გამოელოდა. რი გორ მოხდა, რომ ეს ყველასაგან პატივცემული კაცი, შეძლებით ერთი უწარჩინებულესთაგანი, — ნუ დაიფიქრებთ, რომ მთელი ჩუღურეთი ერთ დროს ამ კაცს ეკუთვნოდა — გვარიშვილობით ძველი მოღვაწის თავადი, განათლებით არავისზე ნაკლები, ნიჭით ყველასაგან მოწონებული, და, რაიცა შეეხება ქვეყნის გულშემატკიერობას, მუდამ ქვეყნისთვის თავგანწირულებაზე მოლაპარაკეთ. ნაპოლიონ ამატუნი დღეს დამანაშეთა სკამზე დასევს? მას აბრალებენ საქალაქო ბანკის გაქურდებაში მონაწილეობის მიღებას და ნამდვილი ქურდების თაყვან კალთის წაფარებას. ასეთი ამბავი ძალიან საგულლისხმო უნდა იყოს ჩვენთვის. ამ შემთხვევამ ქუთა უნდა გეასწავლოს. ბრმათ აღარ უნდა მიეწოდოთ არავის, რაც უნდა იგი დიდი დამხმარებელი იყოს. ყველას მოქმედებას თვალ-ყური უნდა ვადევნოთ და ყოველთვის კრიტიკის დარჯაკში უნდა გავატაროთ მისნი საქმენი. როდესაც ჩვენი საზოგადოება ამ ზომამდე გამოფხიზლდება და ყოველ თავის მოღვაწეს მოქმედების კრიკში ჩაუდგება, მხოლოთ მაშინ წაელენ რიგიანათ ჩვენი საზოგადო საქმეები. თუნდ რომ ვისიმე წყალობით ლუკმა პურსაც ეკამდეთ, საზოგადო საქმეში არ ენდა მიეუღებეთ, არ უნდა მიეფეროთ; მხოლოთ ამ გვარი სასტიკი მოქმედებით გავუფთხოვოთ ჩვენი მოღვაწეებს და არც ისეთი სამარცხენო საქმე მოგვივა, როგორც დღეს ქალაქის ბანკს და მის უწინდელს გამგეს თავად ნაპოლიონ ამატუნს მოუვიდა.

აი, როგორ შეტოვა მან, თავის მოძიების ქება დიდებით გულ გათამამებულმა, სამარცხენო ბოროტ მოქმედებაში.

1892 წელს ქალაქის ბანკის ხაზინადარმა შენი-

შნა, რომ ერთმა ქალაქის ბანკის დირექტორთაგანმა მას დააცვლიენა ხელმოვრეთ ერთხელ დაცვლილი კუპონები. ამ სახით მან ერთ კუპონზე ორჯელ მიიღო ხელური ფული. ხაზინადარმა ეს ამბავი მოახსენა მაშინდელს ქალაქის ბანკის გამგეს ნაპოლიონ ამატუნს, მაგრამ იმან ყურიც არ გაიბერტყა. ბოლოს დაუკვირდენ საქმეს და კიდევ რამდენჯერმე დაიკარგეს ცნობილი დირექტორი ამ გვარს ბოროტ-მოქმედებაში. როცა ამას შემდეგ ბანკის საქმეები განიხილეს, აღმოჩნდა, რომ ამგვარი ძველი კუპონების დაცვლით საქალაქო ბანკს აკლდა რამდენიმე ათასი მანეთი. ამ საგანზე ჯერ ადგილობრივმა გაზეთებმა შექნეს განგაში, ბოლოს ესე ყოველივე მივიდა ფინანსის მინისტრის ყურამდის. მან გამოგზავნა ბატონი პალტოვი სარევიზიოთ. ამან მართლაც აღმოაჩინა დიდი ბოროტ-მოქმედება. საქალაქო ბანკს ორმოცდათექვსმეტ-ათას მანეთამდე აკლდა ფული. ბანკის რევიზია რომ გათავდა და პალტოვი წაიდა პეტერბურგს, ხაზინადარმა ტიგრანოვმა, რაც თვითონ იცოდა, ყოველივე ჩადენილი ბოროტ-მოქმედებანი პროკურორს განუცხადა. ამას შემდეგ დაიწყო გამოძიება. აღმოჩნდა მრავალ ნაირი დანაშაულობა, რომელიც თურმე თ. ნაპოლიონ ამატუნის ხელმძღვანელობით, ანუ მისი დაფარვით ხდებოდა. გადახდილი კუპონებით ფულის პარკვა გარდა, საქალაქო ბანკის ზარალი იმითიც ჰხდებოდა, რომ გამოგობა მეტ სესხს აძრევდა სახლების დამგირავებლებს, ვიდრე მათი მამული ღირდა. ამას გარდა აღმოჩნდა, რომ გამოგობა „პოდლოღებს“ — ყალბ დოკუმენტებს აკეთებდა. ამის მეოხებით არამც თუ აღარ იყო ბანკში მოგვებით შეგროვილი დასახმარებელი (запасной) თაენი, არამედ ანგარიშში ნაჩენენი ოცდა-რვა-ათასი მანეთიც; მოგებულ თაენათ დასახელებული, ტყუილი გამოდგა. რომ რიგიანათ წარემართათ ბანკის საქმეები 1887 წელს აქეთ 1893 წლამდე, მონაგებეი ფული უნდა ყოფილიყო ბანკის დასახმარებლოთ სს-რგჯ-სამ-სასის მანეთი; ამის მაგიერათ ვალის მეტა არა აღმოჩნდა. რა მაგრამ საქალაქო ბანკის გამგეობამ ეს ბოროტ-მოქმედებაც არ იცმარა. იმან გაუსევა ხელი და დაუწყო საგირაო დოკუმენტებ-დან ღურკლების ამოხვევა, რომ დაკირავებულ მამულებზე დამატებითი სესხები აღრე და მომეტებული ეძლიათ ხოლმე, ვიდრე ვადა მოუვიდათ და ან რამდენათაც მამული ღირდა.

იმის მაგიერათ, რომ თ. ნაპოლიონ ამატუნს ყოველივე ეს ბოროტ-მოქმედება გამოეპოკარეებინა, თუ რომ თვითონ არ თანაუგრძობდა, იმან თავსი მომხრეების წყალობით 1892 წელს წარადგინა საზოგადოების წინაშე ყალბი ანგარიშა. რომელშიცა გავაფუჩჩა ყოველივე ბოროტ-მოქმედება და ბანკის

საქმეები ჩინებულათ დაანახვა საზოგადოებას. ასეთი, მისი ფიქრით კეთილი, მოღვაწეობის გულისთვის თავადმა ნაპოლეონ ამატუნმა თავის ჯილდოთ, ასე გაშინჯეთ ექესი ათასი მანეთი ითხოვა და მიიღო კიდევ ისე, რომ წარბი არ შეხრა.

თ. ნაპოლეონს ჰყავდა ორი კაცი: ერთი იყო თ. არლუთაშვილი ბანკსა და მოგირაენეთა შუამავალი, რომელიც ყველა მოგორაეებს საქმეს უკეთებდა, ესე იგი ბანკში კარგ ფასათ აგირაეებინებდა მამულს. ერთხელ მას ჰქითხეს: საიდან ახერხებო, რომ როგორც მოგირაეებს უნდა, ისე აგირაეებინებო მამულს ბანკის გამგეობასო. იმან უპასუხა: იქიდან რასაც ვიღებ, სხვებსაც ვუყოფო. მეორე იყო ბუხ-ჰალტერი ამირაღოვი, რომელიც არამც თუ ანგარიშებს ყალბათ აღგენდა, თვით წრგნებშიაც ციფრებს ასწორებდა. ამ სახით გამოდგა, რომ თვით თავადს ნაპოლეონ ამატუნს თავის ხელქვეითი მოსამსახურეები ბოროტმოქმედებაში თანაშემწეთ და იარაღათ ჰყოლია. ბანკში ყველა მოსამსახურენი თურმე ინტერესებით ერთმანეთზე იყვენ გადამბულნი, ერთი მეორეს ეხმარებოდა და ერთი მეორეს ფარავდა. აქედან წარმოდგა ის გარემოება, რომ მთელი ათა წელიწადი თ. ნაპოლეონ ამატუნი მიანდათ პატიოსან, თავდადებულ მოღვაწეთ და, თუ ვინმე გამოჩნდებოდა მისი მკიცხავი, მისივე მომხრენი და კეთილის მყოფენი გამოუდგებოდენ და კუდით ქვეს ასროლინებდენ. იქნება დღემდისაც თ. ნ. ამატუნს ბანკი ეცარკვა და პატიოსან კაცათაც მიეჩნიათ, თუ რომ ხაზინადარი არ აშლოდა და არ გამოეაშკარაებინა მისი ბოროტმოქმედება. ამაზე ნათქვამი ლათინური ინდაზა: „Caveant Consules!“ (ფთხილათ თქვენც, ამა სოფლის წარჩინებულნიო!).

თ. ნაპ. ამატუნი მართლაც განსჯის დროს ცნობილ იქმნა დამნაშავეთ და მიუსჯეს: აენადოს მას პირადი და ქონებითი უფლება და გაიგზავნოს თორმეტი წლით ტობოლის გუბერნიაში საცხოვრებლათ; შემდეგ კი ნება მიეცეს, საცა უნდოდეს, იქ იცხოვროს, სატახტო ქალაქებს გარდა; ხოლო ამირაღოვი დატუსაღდეს ოთხი თვით. ამით გათავდა წარსული კვირის მითქმა-მოთქმა თ. ნაპოლეონ ამატუნის საქმისა.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ქტომბრის 3 მოხდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკანგებო კრება, რომლის თავჯდომარემ თბილისის გუბ. მარშალმა

თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონმა კრების გასწონისთანავე გამოაცხადა, რომ 28 ივლისს მომხდარი კრება უკანონო იყო. ამან გამოიწვია ბევრი სჯა და ბაასი. ბოლოს კრება დააღვა შემდეგ გადაწყვეტილებას: იმ კომისიას, რომელიც იყო ამორჩეული 1892 წელს, მიემატოს შემდეგი პირები: თბილისის, თელავის და სიღნაღის მარშლები, თავ. ი. გ. ამილახვარი, კნ. ს. რ. ვახეზაძე, თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი და ე. დ. გაბაშვილი. ამ კომისიამ თანახმათ მარშლისა უნდა გაგზავნოს ხელმწიფე იმერატართან თხოვნა, რომ ხაზინამ იკისროს კახეთის რკინის გზის გაკეთება, და თუ რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იყოს ამის შესრულება, მაშინ უნდა ითხოვონ, რომ თვით თავად-აზნაურობას მიენიჭოს კახეთის გზის კონცესია.

\* \*

კავკასიის საფილოქსერო კამიტეტის თხოვნით სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს გადუწყვეტა მიეცეს შემწეობა გორის მაზრის ენახების ღარიბ მებატრონებს, რომელთაც ენახი გადუწევს ფილოქსერის მოსასპობათ. ამ მაზნისთვის მიღებული ფული ათას ოცი მანეთია და უნდა თვით სოფლის მმართველობამ გაუნაწილოს სოფლელებს.

\* \*

ამბოზენ უზანი „ნაძალადევი“ ქალაქის გამგეობისაგან უყურადღებოთ არის დატოვებული, თუმცა ამ უზნის ხალხი სხვებსავე იხდის ყოველ გვარ გადასახადს. ქურდობა ხშირი და ძნელ ასაცდენია თავიდანო.

\* \*

ჩენი განთეები გვაუწყებენ ფრიად სასიამოვნო ამბავს. ბ-ნ ვ. გუნიას მოსვლია ნება რთვა ქართული ყოველ-დღიური განთებისა სახელათ: „ცნობის ფურცელი“. ამბოზენ ამ ცოტა ხანში გამოვა კიდევ. ვისურვებთ ღირსეულათ გაუძღვეს თავის საქმეს.

\* \*

ქიზიყიდან წერენ „Нов. Огн.“-ს: მოუსავლო ბას გარდა იუმისოთაც გაჭირებულ ქიზიყელებს კიდევ ეწვიათ უბედურება — გადამდები ავთმყოფობა, რომლითაც ბევრნი იხოცებიან. მთელ ქიზიყში ორი ექიმი და ამათ, რაც უნდა თავ-გამოდებით უწამლონ ხალხს, მაინც ყველას ვერ გასწვდებიან. ქიზიყელებს დაერთო კიდევ სხვა უბედურებაც — განდა საქონლის ჭირი.

\* \*

ფულის გაგზავნის გასაადვილებლათ პირველ იანვრიდან 1897 წლის შემოღებული იქნება ფულის გადატანა ფოსტა-ტელეგრაფით. ფული გასაგზავნათ მიიღება ყველა სფოსტა-ტელეგრაფო დაწესებულებაში მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც არსებობს ხაზინის სალარო ან და ფინანსთა სამინისტროს შესავალ-გასავლის კასსა. ვინც ას მანეთამდის გაგზავნის ფოსტით, იმას გამოერთმევა სამი შაური და ვინც ტელეგრაფით, იმას კიდევ მიემატება ტელეგრაფის ფასი.

\* \*

ამ დღეებში აკურთხეს ევრაზე „თბილისის ქალაქის“ უფასო საქალბეო სკოლა, რომელიც გაიხსნა ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების დღის სახსოვრათ. ამ ღარიბთათვის სკოლაში უპირატესობას აძლევენ ხელსაქმის სწავლას.

\* \*

მცხეთობა.

ყველას კარგა მოეხსენება, რომ მცხეთის ეკლესია, რომელიც დიდი ხნის აგებულია, კიდევ ისე მკვიდრი და ხელოვნურია, რომ ახლებსაც გაცილებით ჯობს, დღესასწაულობს 1-ს ოქტომბერს სვეტი ცხოველობას.

სამშაბათს პირველს ამ თვეს დიდძალი ხალხი მიეჩქარებოდა რკინის გზის სადგურზე. ერთა მეორეს ვინც მიასწრებდა ეხვეოდენ კასას ბილეთების ასაღებათ. ენით გამოუთქმელი ქვიცილ-ხივილი და ჭეღა ხალხისა საშინელ სურათს წარმოადგენდა. ზოგი ქალი ლეჩაქს ჩიოდა და ზოგი „პეტრელიკა“ — „შლიაპებს“. უარესი დღე დაადგათ ყველას მატარებელში ჩაჯდომის დროს. გაიტენა ერთა ორმოც ვაგონიანი მატარებელი ხალხით, მეორე და მესამეც, მაგრამ მაინც დიდ ხალხი დარჩა უბინაოთ და ერთმანეთზე ასხდებოდენ, ზოგიც ფანჯრებიდან ხტებოდენ. დიდი გაჭირებით მივახწიეთ მცხეთას და გაუდგეთ ეკლესიის გზას. გალენის კარებში ტევა არ იყო. ძლივს დიდი გაჭირებით მივახწიეთ ეკლესიის კარებს. იქ, მოეტანათ ორიოდ წიგნები გასაყიდათ და იმის გაყიდვის ნებასაც არ აძლევდა ბოქაული. შიგ ეკლესიაში თითქმის ერთი ქართველი მლოცავი ვერა ვნახეთ. ვინც შედიოდა, გულ ნატყენი მაშინვე გამოდიოდა, რადგან არა ესმოდათ-რა. ჯერ წირვა არ გათავებულყო, რომ ჭიდაობა გაიმართა, რომელშიაც დიდ მონაწილეობას იღებდენ ჩვენი

გუჯარის გმირები. ჭიდაობას მოჰყვა ლეკური და აირია ერთმანეთში ზურნის, დოლის და სხვა საკრავთა ხმაურობა, სადილობა — ლოთობა და შეიქნა გულის შემზარავი ყვირილი მოლხანეთა. ყველანი ბზესავით ფულსა ხარჯავდენ უაზრო ქეფსათვის და როდესაც საჭიროა ჩვენი საჭირ-ბოროტო საქმისათვის გროშსაც არ გამოიმეტებენ. ამ დღესასწაულს, სხვათა შორის მარჯვე ჯიბეგირებიც არ აკლდა; ბევრს მოასწრეს, ბევრი ჩხუბი და უბედურება მოხდა, ბევრი თეთრი ჩოხები ვნახეთ შევლებილი წითლათ სისხლში. ბევრი ისე უგრძობლათ დამთვრალიყვენ, რომ თბილისის მაგიერათ ბათუმისკენ მიდროდენ და როდესაც შეიტყობდენ ფანჯრებიდან ცვივდებოდენ.

იოხაი მეთუაფეურე.

„ცვალის“ კორესპონდენციები.



თელავი. ვისაც ცოტათი მაინც გული შესტკივა საზოგადო საქმისათვის ის, რასაკვირველია, დიდი სიხარულით მიეგებება რომელიმე საზოგადო დაწესებულების დაარსებას, თუმცა, სამწუხაროთ, ხშირათ ამნაირ დაწესებულებას არა სანატრელი ბოლო ეძლევა. მაგრამ, ვინც ცოტა თუ ბევრათ აკვირდება ცხოვრებას, ის დარწმუნდება, რომ თუ არ საერთო ძალით, ისე მიზნის მიხწევა შეუძლებელია. ამნაირ რწმენას საზოგადო დაწესებულების არა სანატრელი ბოლოც არა სპობს ჩვენში. სხვისი კი რა მოგახსენოთ და მე კი გული სიამოვნებით მეგსება, რომ რამდენსამე დამარცხებას შემდეგაც სასოწარკვეთილებას არ ეძლევიეთ და კიდევ მაინც ერთხელე არჩეულ მიზნისკენ მივისწრაფათ. ვის არ ახსოვს თელავის საზოგადო დეპო? რომელ მის კეთილის მდომელს სიამოვნებით არ მოაგონდება მისი გაჩაღებული ვაჭრობა და არ უშხამავს გულს მისი ბოქაულის ჩაქუჩ ქვეშ სულის დაღევა? ყველა ესენი კარგათ გეხსოვს და ვიცით; ვიცით აგრეთვე ისიც, თუ რას მიეწერება ეს დამარცხება, ე. ი. ჩვენი მოუშხადებლობა რე უთანხმოება. ამიტომ უნდა ვეცადოთ შემდეგში ამ დიდი ნაკლის თავიდან აცილებას. ამ ქამათ, თელავის ქალთა საზოგადოებას, სხვათა შორის განზრახვა აქვს განსვენებული დეპოს გაცოცხლება და თანამგრძობელიც საკმარისათ ჰყავს. თელავში წინეთ სხვა დაწესებულებათა შორის არსებობდა შტინახელ-გამსესხებელი ამხანაგობაც, რი.მოსის ხსენება მესუთე წელიწადია რომ აღარ ისმის. აწ მიგიწყებულ-

მა დაწესებულებამ ბეერ ხელ-მოკლე წვერს "გაუმართა ხელი პირველ ხანებში. ამ საზოგადოების მიძინებამ ათას გვარი მითქმა-მოთქმა დაბადა ხალხში. აი, სხვათა შორის, რას გაიგონებთ აქ: „რატომ არ უჩივან და არ აწარმოებენ საქმეს? იმიტომ რომ თავადებს და ნასწაველ ხალხს მართებთ ფული ვანა? აბა, ჩვენ გვემართოს! კარგათ აუწერეს აპას და ამასაო.“ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს მართალი იყოს, მაგრამ ასე კი ამბობენ. ამისათვის, ეგონებ, ჯობს, რომ ეს ხელშეწყობა მიიძინა ზემოხსენებულმა დაწესებულებამ, იმანვე შეატყობინოს წვერებს საქმის გარემოება და მით აცდინოს ის ათას ცვარი ეჭვი, რომელიც აქაურ საზოგადოებაში ტრიალებს.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, რომელიც ზემოხსენებულ დაწესებულებასთან ერთად იყო დაარსებული, ის კიდევ არსებობს, მაგრამ სრულიად აცდენია თავის დანიშნულებას. ბიბლიოთეკის მიზანი ის იყო, რომ ხელ-მოკლე ხალხს გაუადვილოს კითხვის სურვილის დაკმაყოფილება. თელავის ბიბლიოთეკის გამგეობა კი სულ სხვანაირად იქცევა; მას თეიური გადასახდისათვის, რომელიც მუშა ხალხისთვის იყო დაწესებული, კიდევ მოუმატებია ასე გვეგონებათ, რომ უკანასკნელის თავიდან მოშორება სდამებიათ. წინეთ მაგ., 25 კაპ. იყო თვეში და ახლა კი 40 კაპ. თუ თიონეთის ბიბლიოთეკა კმაყოფილდება თავის წვერისაგან 1 მან. წელიწადში, რატომ თელავის ბიბლიოთეკა ვერა კმარობს სამ მანეთს? მართალია, ფული ბიბლიოთეკას არ მოქარბდება, მაგრამ დანიშნულების გადახვევას ბიბლიოთეკის სიღარიბე ჯობს.

ხატკმელი.

\* \*

წაჭა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რაქაში რამდენიმე პირს სურდათ დაეარსებინათ დ. ონში პირველი დაწყებითი საქალგებო სასწავლებელი. ამ კეთილ საქმის მოთავე იყო ქ-ნი ივლიტა ყიფიანისა, მეუღლე რაქის მახრის უფროსისა; ეს პატიეცემული ქალი ისე ენერგიულად შეუდგა ამ აზრის განხორციელებას, რომ დიდი იმედიც გექონდა მისი სისრულეში მოყვანისა, მაგრამ საუბედუროდ რაქის საზოგადოებამ ვერ მისცა მხარი პატიეცემულ მოთავეს და მისი სურვილი ისევე სურვილად დარჩა. რამოდენათ საქირაო საქალგებო სკოლა საზოგადოთ ყველგან და კერძოდ რაქაში, ამაზე ლაპარაკი მტტი იქნება. არ ვფიქრობ, რომ ჩვენი სამშობლოს რომელსამე კუთხეში (სვანეთისა და მთიულეთის არ ვიც) ისე უკან იდგეს ქალთა განათლება, როგორც

რაქაში. აქ არავითარი საშუალება, გარდა ოჯახისა (რაც ძლიერ იშვიათია) არ არის, რომ ქალმა რიგანი წერა კითხვა შეისწავლოს; არც სკოლა, არც კერძო სასწავლებელი. სოფლის სკოლებს სულ არ აკარებენ ქალებს მშობლები; სხვა სასწავლებელში გაგზავნა ქალებისა რაქველებს ჩვეულებათ არა აქეთ, ან კი რათ დაეძრახათ: ვისაც ცოტადღენა შეძლება აქეს, ის უმთავრეს ყურადღებას ეაქის განათლებას აძლევს და ესეც საძინელოა მისთვის. ასი ვერის მანძილზე უნდა წაყვანოს, ეს რა თქმა უნდა დიდ ხარჯს თხოულობს. ამიტომ აუცილებლათ საქირაო, რომ რაქაში საქალგებო სკოლა გექონდეს. იმედია, ქ-ნი ყიფიანისა არ დაიფიქვებს თავის აზრს და კვლათ შეუდგება მის სისრულეში მოყვანას. დარწმუნებული ვართ, რომ სხვა კეთილშობილი რაქის მანდილოსანიც ამოუდგებთან გვერდში ქ-ნი ყიფიანისა და შეერთებული ძალით დააგვირგვინებენ ამ კეთილ და სასარგებლო საქმეს.

ამასთან არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ქ-ნი ყიფიანის მეცადინეობით ამ ზავსხულს რამდენიმე წარმოდგენა და საღამოები იყო გამართული ღარიბი სტუდენტების და ონის სამკითხველოს სასარგებლოთ.

პ. წულუკიძე

\* \*

სოფ. ჩხორაწყო (ზუგდიდის მაზრა) ძვეს ჩრდილოეთისაკენ დაბა ახალ-სენაკიდან ორმოცდა ათი ვერის სიშორეზე. ეს სოფელი ძლიერ უკანა ჩამორჩენილი დანარჩენ სოფლებზე რამე სასარგებლო დაწესებულებით; სამაგიეროდ აქ გახშირებულია ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება და ავაზაკობა.

ჩვენში ღამე არ გავა იმისთანა, რომ ორი-სამი ცხენი არ მოიტაცონ; ქურდობა ჩვეულებათაა გადაქცეული. თუ ვისმეს ფულიან კაცათ თელიან, ვი იმისი ბრალი, კარში გამოსვლა არ შეუძლია; თუ გამოვიდა გამოასალმებენ ამ ქვეყანას.

ძალიან იშვიათათ შეხედებით ჩვენში იმისთანა პირს, რომ რამე კეთილ საქმეზე დაიწყოთ მსჯელობა. ამიტომ მეტათ სასიამოვნოა კნენა ბაჩუა დიანის მეცადინეობა ამ მხრით. ამ ქ-ნს საკმარისათ გაუცენია ჩვენი ქართული ლიტერატურა და დიდი ხანია ჰქონია აზრათ დაეარსებია საღმრთო ზუგდიდის მაზრაში პაწაწა უფასო სამკითხველო.

წელს ამ პატიეცემულ პირს შეუფარებია ახალგაზღობა და გაუზიარებია მათთვის თავისი აზრი. კნ. დადიანის აზრით ჯერ-ჯერობით საქირაო რამე წყაროს გამოძენა, ე. ი. თანხას შედგენა. ამ

მიზნით განიზრახეს წარმოდგენების გამართვა. პირველი წარმოდგენა იყო 25 აგვისტოს; წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა; მაყურებელი საზოგადოებაც ძალიან ასიამოვნა.

მაგრამ რაც შეეხება შემოსავალს ძალიან ცოტა იყო, სულ თერამეტა მანეთამდის შეგროვდა, ასე რომ შემოსავალმა ხარჯი ვერ დაუხარა. იმედია, შემდეგ მაინც უფრო დიდ თანაკრძნობას გამოიჩინს ადგილობრივი საზოგადოება ამგვარ საქმეში.

სოპიწელები.

\* \*

დაბა დელიჯანი. (განჯ. გუბ.) მოსავალი წელს აქ მცირე იყო. საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, რომ მოსავალი აქ ყოველ წლივ კლებულობს; თუმცა ადგილ მდებარეობა და აქაური მიდამოს შავი ნიადაგი ხელს უწყობს კარგ მოსავალს.

მოუსავლობის მიზეზი, როგორც დავრწმუნდა მიწის შემუშავების უცოდინარობაში მდგომარეობს. აქ მიწას ხნავენ ერთ გვარი „კაეებით“, რომელშიაც უღელი (იშვიათათ ყვეარი) ხარი უბიათ და რომელიც ორ-სამ გოჯის სიღრმემდის ძლივს ჩიჩქნის მიწას, ასე რომ ნახევარი ბალახი ისევ რჩება ხნულში. ადელი წარმოსადგენია, რომ ეს ნახევრათ ძირ-ამოუთხრელი ბალახი ხეირს არ დააყრის ნათესს. ამიტომაც: ბალახი ჭარბობს თესლს და ყანების უმეტესი ნაწილი სათივეთ ხდება.

ამ დღეებში სადგურ სემენოვიდან გასული დელიჯანი (Омнирუს) გზაში გადაბრუნდა; ამ ხიფათმა იმსხვერპლა ერთი ქალი და დანარჩენნი თითქმის ყველანი დაასახიჩრა. ასეთია აქაური საფოსტო გზა.

ტრ. ჭობაძელები.

P. S. ეს წერილი დამთარებული მქონდა, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველები დაეცენ დელიჯანიდან გუმბრში მიმავალ ფურგუნს, რომელიც დატვირთული იყო ფარჩეულობით, გადმოსჭრეს ერთი შეკრული და გაუღდენ გზას. მკურნალებმა ეს შენიშნა და გამოკიდა ტვირთის გამოსართმევათ, მაგრამ „გმირებმა“ არ ახანეს, ესროლეს თოფი და სული გაანთხეინეს საწყალ მფურ 11-ეს, თითონ კი „ნადელით“ ტყეს მიეფარენ.

ტ. ჭ.

ქიზიყი. ქიზიყი ისტორიულათ და გეოგრაფიულათაც ორ ნაწილათ არის გაყოფილი და ეს

ორი ნაწილი ადგილის მდებარეობით, მეურნეობის წესით და ხალხის ზნე-ჩვეულებით ერთიერთმანეთისაგან განსხვავდებიან; ერთ ნაწილს შეადგენს „ქემო-ქიზიყი“ და მეორეს „ზემო-ქიზიყი“, ე. ი. სიღნაღის ქემო მხრის სოფლებს ქემო-ქიზიყს უწოდებენ და სიღნაღის ზემო — სოფლებს, ვიდრე სოფ. მუკუზნამდის — ზემო-ქიზიყს როგორც ცნობილია, ქემო ქიზიყში არ არსებობდა ბატონ ყმობა; ამიტომ აქაურ მცხოვრებთ ამის შესახებ არავითარ წარმოდგენა არა აქვთ; ამ გარემოებას, რასაკიირველია, თავის დალი დაუსვამს აქაურების ზნე-ჩვეულებაზე. მაკ., აქაური მცხოვრები, როგორც სხვებზე შედარებით უფრო თავისუფლებაში აღზრდილი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მზათ არის თავისუფლება დაიცვას; ის ამაყი და თამამია თავისებურათ, რასაკიირველია, რაც იმას მოწმობს, რომ ის წინეთ სხვებსაგეთ არ ყოფილა დაჩაგრული. აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ ქემო-ქიზიყელმა თავის უფროსის წინაშე მორჩილება და პატივისცემით სიტყვა-პასუხის გაცემა არც კი იცის. ამის გამო ზემო-ქიზიყელები და სხვებიც ქემო-ქიზიყელებს ბრძიყებსა და უზღველებს უწოდებენ. ჩვენში მაგ. ყოველგან მორჩილებით ლაპარაკში ხმარობენ: მობრძანდით, დაბრძანდით, შიირთეთ, დიახ და სხვ. ქემო-ქიზიყელებისათვის კი სულ ერთია ვინც უნდა იყოს, ერთნაირათ ეტყვიან: მოდი, დაჯექი, ჭამე, ჰოვ და სხვ... რაც შეეხება მხნეობას და შეძლებულებას ამ მხრით ქემო-ქიზიყელები ბევრათ ჯობიან ზემო ქიზიყელებს, მიუხედავათ იმისა, რომ ზემო-ქიზიყი ბუნებით უფრო მდიდარია, ვინემ ქემო ქიზიყი; ზემო-ქიზიყში რომ ღვინო მოდის, იმის მესადიცი არ მოუვათ ქემო-ქიზიყელებს და ამას გარდა ღირსებითაც ბევრათ უკეთესია პირველზე. ქემო-ქიზიყელები უმეტეს ნაწილათ მისდევნენ სხვა-და-სხვა პირუტყვის მოშენებას და ხენა-თესვას. გარდა ამისა ყოველ წლივ ჰყიდიან მატყლს, ერბოს, ყველს და სხვ.

ზემო-ქიზიყელი ხალხის ცხოვრებას რომ დაეუკუიროდებთ, შევამჩნევთ, რომ ის თანდათან, რაც ხანი გადის, იმდენათ სულ უფრო და უფრო საწყლდება. ამის მიზეზი, ერთი მხრით, ის უნდა იყოს, რომ აქ უმეტესი ნაწილი საბატონო გლეხ-კაცობა ცხოვრებს; როგორც ყოველგან საზოგადოთ, აქაც ყველას თავის ბატონი ჰყოლია, საბატონო მამულებზე უცხოვრია და თავის საკუთრება არა ჰქონია. დღეს თუმცა დიდი ხანია, რაც ბატონ-ყმობა კანონით მოისპო ყველასათვის, მაგრამ აქ უმეტეს ნაწილმა სრულებით არ იცის, თუ რა ხილია თავისუფლება; ნადელებიდან თავი ვერ დაუხწყვიათ და ისევ ისე ძველებურათ თავიანთ მებატონების მამულდე-



ჯუმბათის მონასტერში წმ. გიორგის ხატი.

დულზე ცხოვრებენ. ისინი მუშაობენ და მზა მზარეულს მომკილს და გაღეწილს ღალას აძლევენ მამულის პატრონებს. ზოგს მათკანს ნარდათ აქეს აღებული მიწა და მიუხედავთ იმისა, იქნება მოსავალი თუ არა, გადასახადი მაინც უნდა აძლიოს, ან სულადათ, ან ფულათ; ვისაც ასე ნარდათ არ აქეს გადაწყვეტილი, ისინი კიდევ უფრო უარეს დღეში

არიან, რადგანაც მათ არ შეუძლიათ, როცა სურთ ანუ უჭირთ, თეიანთი მოსავალი გაჭირების დროს გაჰყიდონ, რადგანაც „უსტაენი გრამატების“ ძალით მებატონეების დაუკითხავათ და ნება დაურთეთ მათ არ შეუძლიათ არც ყანის მომკა და არც ვენახის დაკრევა.

მართალია, კარგა ხანია მას აქეთ, რაც მთავრო-



ბისაგან ნება მიეცათ საბატონო მამულების შეყიდვისა, ე. ი. რომელიც „უსტაენი გრამატის“ ძალით აქეთ მოზომილი, მაგრამ, საუბედუროთ, ამის განხორციელება ადვილი არ არის. როგორც ვიცი, დღემდის მესადიდ არ ვანთავისუფლებულა ბატონყმური დამოკიდებულობისაგან. ამის მიზეზი ჯერ ერთი ის არის, რომ ჩენი გლეხ-კაცობა გონებით ძრიელ დაცემულია, მას ვერც კი წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება უბატონოთ ცხოვრება. გარდა ამისა, იმდენათ არის გასაწყლებული ხალხი, რომ არა თუ მამულების შეყიდვა, არამედ დღიური ლუკმა პურის შოვნაც გასჭირებია და ბევრი მათგანი სიამოვნებითაც კი გაიხსენებს ხოლმე წარსულ ბატონყმობის დროს.

შაქრა ი. ვახნაძე.



ჯ უ მ ა თ ი ს ტ ა ძ ა რ ი.

ჯუმათის სიძველენი.




ჯუმათის ტაძარი აგებულია მთავარანგელოზთ მიქელ და გაბრიელის სახელზე. იგი მდებარეობს ოზურგეთიდან 18 ვერსის მანძილზე. და ძველათ საკათედრო ტაძრათ ირიცხებოდა. თავის დროზე ჯუმათის მდიდარი განძეულობით და ხატებით შესანიშნი ადგილი ექირა საქართველოს ძველ ნაშთთა შორის. 1880 წლებში აქედან წაიღეს ორი ძვირფასი ხატი მთავარანგელოზებისა და მას უკან აღარ დაუბრუნებიათ, — ხატები დაიკარგენ. ახლა ჯუმათში

საყურადღებონი არიან წმ. გიორგის და მიქელ მთავარანგელოზის ხატები. სიმაღლე წმ. გიორგის ხატის ერთ არშინამდეა, სიგანე ნახევარ არშინზე მეტი. იგი გაკეთებულია ოქროსგან და წარმადგენს მთავარმოწამეს სრული ტანით, ფართ ხელში, მხოლოდ უცხენოთ და უეეშაპოთ. აქ უნდა შეენიშნათ, რომ წმ. გიორგის უცხენოთ, დახატვა ეკუთვნის უჯრო ძველ დროს, ვიდრე ცხენით და ეეშაპით. ამისათვის ილორის, ალავერდის და სხვა ძველი დროის მთავარმოწამის ხატები უჯრო იპყრობენ მეცნიერთა ყურადღებას. გემო, ანუ სტილი ამ ხატისა, იმ გეგარია,

რომ იგი უნდა ეკუთვნოდეს მე XI—XII-საუკ. ხელოვნებით იგი ჩაითვლება საუკეთესო ნაშთთა ქართულ ბიზანტიური მხატვრობისა. სამწუხაროთ ფიციარი, რომელზედაც დარჩენილა ეს ძეგროფასი ხატი, გაჰსკდარა და დარღვევას აპირებს. საჭიროა დასაცველათ განსაკუთრები თი ყურადღება. ზედწარწერანი მოიხსენებენ „ერისთავთ ერისთავს ვარდან ვარდანიძეს“.

მთავარანგელოზის მიქელის ევრცხლის სურათიც ერთი არშინის სიმალეა. ფეხთ ქვეშ ანგელოზს გამოხატული აქვს მისი შემამკობელნი „გიორგი გურიელი“ და „დედოფალი ელენე“. რადგანაც ეს ხატი წარმოადგენს ტრამპის (სამ სურათს დასაკეცათ მოწყობილს). ამისთვის მარჯვნივ და მარცხნივ მთავარანგელოზს მიეკედლებიან ორი ხატიც. ამ ხატის შემამკობელთა სახელი გვხვდება ლ ხაურის ზედწარწერაში 1422 წ. ჯუმათშივე იხსება ორა მეტრის სიმალლე ჯვარი ნათლისღების, ხარების, ჯოჯოხეთის დათრგუნვის და მთავარანგელოზ მიქელის სურათით. შექედილია ეს ჯვარი გიორგი გურიელის და დედოფლის ხეარამზის ბრძანებით მე-XVIII საუკუნეში.

ს. სასხაშვილი.



უმანკო მეგობრობა.



უ რომ გაქვს ფული, ანუ მამული, განუზომელი მთა და ბარია და მასპინძლურათ იწვევს სუყველას შენი სასახლის ღია კარია, თუნდ სენინდისთან იყო პირ-შავი, ზნით დაცემული, საზიზლარია, უმრავლესობა გაქვს, გადიდებს, ეთ რომ გულ-წრფელი მეკობარია!

\* \*

თუნდ გონებითაც იყო მახინჯი, რაზმებათ გყავდეს მწყურების ჯარია, ამაო ტანზე ფუტურო თავეში ძალზე ექროდეს ნივე-ქარია, შენთან ბასი სურს ბრბოთა გროვას, იმათ გულს შენკენ მოუხარია, ბაჯალლო ოქროთ თელიან შენ სიტყვებს, გისმენენ ეთა ბეგობარია! მათში უთუოთ დაგცინის ეინმე, მაგრამ ნილაბი პირს აუარია


და შენ ეგრ ამჩნევ მას თვალთ-მაქცობას რაკი შექმნილხარ უმეცარია. ისიც გრძნობს თავის სულის სიმდაბლეს, სენინდისის წრეს გადამცდარია, ფარისეველურათ თავიანს გცემს რადგან მუცლის ერთკული მეგობარია!

\* \*

ვისაც რომ სარკეთ წარმოუდგება ამ ჟამათ ჩემი ნაუბარია, მრწამს, ის არ დამგობს და გულში იტყვის:

აქ ყოველივე უტყუარია!!

რუს-იმერელი.



კრიმინალური ანთროპოლოგია.\*)

On ne peut plus hair l'ête qu'on a compris.

Guyau.



ომბროზომ გამოიკვლია და შეისწავლა 383 დამნაშავეის თავის-ქალა და 3839 ცოცხალ-დამნაშავეთა თავის მოყენილობა და დარწმუნდა, რომ არსებობს სულ სხვა განსხვავებული ტიპი დამნაშავე-სა. აი, ის ფიზიკური ნიშნები, რომლებიც, ლომბროზოს აზრით, დამნაშავეის ტიპის დამსურათებელია: აღმოჩნდა, რომ ხშირია ანომალია—მანკი, როგორც საზოგადოთ ქალას მოყენილობაში ისე მის სატევეში.

ძლიერ ხშირია შემდეგი ანომალიური ქალას მოყენილობა. ბრახიოკეფალა (მოკლე თავებიანი), დოლიხოკეფალა (მოგრძო თავებიანი) და მიკროკეფალია (ეიწრო თავებიანი). მკვლევლები უფრო ხში-

\*) ის. კვალე № 41

რათ ბრახიოკეფალები არიან, ხოლო ქურდები დო-  
ლიხოკეფალები. ხშირია შემდეგი ანომალა სხეს-  
მოყვანილობაში: ვიწრო შუბლი, სახის ნაწილების  
ასიმეტრია, თვალების ბუდეების უთანასწორობა,  
ნიკაბის წან.წამოწევა, წინ წამოსულა ქვემო ყბა, და-  
მან ნჯებული ყურების მოყვანილობა, სქელი თმა  
თავზე და თხელი წვერები; ნაადრი მელოტობა, ეფ-  
კაცის ქალური შეხედულება; ქალისა კაცური და  
სხე.

ამგვარი სურათი, რასაკვირველია, გვაგონებს  
ველური კაცის თავის მოყვანილობას. ლომბროზო  
დიდ მნიშვნელობას აძლევს თავის ქალას სატევს,  
რადგან ამაზე არის დამოკიდებული ტინის რაოდენ-  
ობა და რადგან თუ სატევი შემცირებულია იმ  
შემთხვევაში თვით ტინის რაოდენობაც უნდა შე-  
მცირებული იყოს, აქედან წარმოადგება ინტელ-  
ლექტის (გონების) სისუსტე.

შუბლის ძელის სიპატარავე ძლიერ ხშირია დამ-  
ნაწვეთა შორის; მაშასადამე, თავის ტინის ის ნა-  
წილი, რომელიც ამ ძელთან არის მოთავსებული  
(pars frontalis) მცირეა; ხოლო ფიზიოლოგია გვა-  
სწავლის, რომ სწორეთ ტინის ეს ნაწილი არის ცენტ-  
რი აზროვნებისა. ამასთანავე დამნაწვეთ კაცის ტე-  
ნის სიმძიმე უფრო ნაკლებია, ვინემ ჩვეულებრივი  
ადამიანისა. ეს გარემოებაც; სხვათა შორის, გვიჩვენ-  
ებს მგზავსებას ველურ კაცის ტინისას.

დიდ მნიშვნელობას აძლევს ლომბროზო ტე-  
ნის ანატომიას; რომ დავაკვირდეთ ტინის მოყვანი-  
ლობას, ამოიბს ლომბროზო, იმ მიმოხვეულებს (fis-  
surae), რომლებიც მთელი ტინის სფერაზე არიან  
დახლართულნი, შეენიშნაეთ დიდ ანომალია, მანკს.  
შენიშნაეთ, რომ ამ მიმოხვეულებს ზოგიერთი მეტ-  
ნიერები აძლევენ დიდ მნიშვნელობას; იმათი აზრით  
ამ მიმოხვეულების განვითარებაზე არის დამოკიდებუ-  
ლი კაცის ინტელლექტის ძალა. ამოჩნდა სხვათა  
შორის ერთი იმნაირი მიმოხვეული, რომელიც მეტათ  
იშვიათია სად ადამიანის ტინზე. ხოლო ეს მიმო-  
ხვეული ჩვეულებრივია დაბალ არსებათა ტინისათვის.  
მაშასადამე, დამნაწვეთ ტინი წარმოადგენს დაბალ  
ორგანიზაციას—აგებულებას, მსგავსს ველური კაცის  
ტინის აგებულებისას; აქედან ის დასკვნა გამოჰყავს,  
რომ დამნაწვეთის სულიერი და გონებრივი ანო-  
მალა სრულიათ ეთანხმება ფიზიკურ ანომა-  
ლიას.

ლომბროზომ გაათავა თუ არა დამნაწვეთის ტი-  
პის პათოლოგიური ანატომია და ანთროპომეტრია  
(anthropométrie du crime), შეუდგა დამნაწვეთის  
ფიზიოლოგიის და ფსიხოლოგიის შესწავლას. ზემოთ  
ხომ ენახეთ, რომ დამნაწვეთის ტიპი თავის ფიზიკური

აგებულებით, (თავის, სახის და სხე.) წარმოადგენს  
სრულ მსგავსებას ველური კაცისას, ამავე თვისების  
აგებულებისას. ახლა ენახოთ, გარეკანი შეხედულო-  
ბის გარდა, რა საერთო თვისებები აქვს დამნაწვეთის  
ხსიათს ველურ კაცთან.

ის საერთო თვისება, რომლისკანაც ლომბრო-  
ზო იწყებს, არის ძლიერ გავრცელებული ჩვეულება  
ველურ ხალხთა შორის—ტატუაჟი.\*) ესევე ჩვეუ-  
ლება ხშირია დამნაწვეთთა შორის, მაშინ როდესაც  
სრულებით გადავარდნილია ყველგან, გარდა იმ ად-  
გილებისა, სადაც ველური ხალხი ცხოვრებს. ამ მოე-  
ლენას, ე. ი. განახლებას ამ ყველგან დაეწიებული  
ჩვეულებისას, ლომბროზო ხსნის ატაეიზმით და ამა-  
ში ხედავს სულიერ ნათესაობას დამნაწვეთს და ვე-  
ლურ კაცს შორის. ხოლო ტატუაჟი ძლიერ იშვი-  
ათაა სულით ავთომყოფთა შორის და ეს ლომბრო-  
ზოს აზრით არის დამტკიცებული საბუთი მისი, რომ  
განახლება ტატუაჟისა დამნაწვეთთა შორის მართლა  
ატაეიზმია, რადგან სულით ავთომყოფობა არ არის  
თანდაყოლილი ავთომყოფობა და ამიტომ იშვიათათ  
აქვს კავშირი ატაეიზმთან.

სამედიცინო განხილვამ აღმოაჩინა შემდეგი თე-  
სებები, საერთონი როგორც დამნაწვეთის ტიპისათვის,  
აგრეთვე ველური კაცისათვის: ანალგეზია ტუიელის  
უგრძობლობა; მაკ., ერთ ქურდს, მოგვითხრობს  
ლომბროზო, მოჭრეს ფეხი, ოპერაციის დროს ერ-  
თი კრინტიც არ დაუძრავს და გაათავეს-რა ოპერა-  
ცია, აილო თავისი მოჭრილი ფეხი და დაუწყა თა-  
მანში.

ამ თვისებით უნდა აენსნათ ის გახშირებული  
სხვადასხვა გვარი თავის მოკვლა, რომელიც შენი-  
შნულია დამნაწვეთთა შორის.

შენიშნულია აგრეთვე „უენებლობა“ (disul-  
nerabilitas, როგორც ლომბროზო ხმარობს), ე. ი.  
იმათი ტანი ძლიერ ადვილათ იტანს ქრილობებს და  
სხვა ფიზიკურ ტანჯვას. ლომბროზო შემდეგ ამბავს  
მოგვითხრობს: ერთ ქურდს სრულებით გაუჩვენს  
შუბლის მარჯვენა მხარე ნაჯახით; ორ კვირას შემ-  
დეგ ის სრულებით მოჩჩა. იმ სატუსალოში, სადაც  
მე ვიყავი ექიმათ, ამოიბს ლომბროზო, ერთ ტუ-  
სალი რალაც უბრალო წყენას შემდეგ, განგებ გადა-  
ვარდა მესამე სართულიდან ძირს—12 სატ. სიმაღლე-  
ზე; ყველას ეგონა, რომ მოკვდებოდა და საზიარებ-

\*) ტატუაჟი (tatouage), ეს ჩვეულება იმაში  
მდგომარეობს, რომ ველური კაცი დასკვნას ტანს  
დანის წყენით და ცდილობს გამოაყვანოს სხვადასხვა  
შინაარსის სურათები და მერე ამ დასკვნებს იღუპავს  
სხვადასხვა საფრეკით.

ლათ მღვდელი მოიყვანეს. არ გასულა რამდენიმე წა-  
მი, რომ წამოღდა ფეხზე და წაეიდა თავის მოთახში.

ამ გვარი პირები თავის თავს უფრო მაღალ არ-  
სებათ თვლიან და აბუჩათ იგდებენ ნაზი აგებულე-  
ბის ადამიანს. ხშირათ ამ გვარი პირები აწვალბენ  
სუსტებს, რადგან ამაში სიამოვნებას ხედევენ. რა  
არის სიბრალული ტანჯული მოყვასისადმი? ძლიერ  
უბრალო და რეალურია ახსნა ამ მაღალ ქრისტიან-  
ული გრძობისა. ყოველი გრძობა რომელიც კი  
ჩვენ გამოგვიღია, ტოვებს ჩვენში მესხიერებას; რო-  
დესაც გვემის, რომ ეს და ეს ადამიანი ამგვართ  
იტანჯებაო, ჩვენი მესხიერების წყალობით წარმოგვი-  
დგება ეს ტანჯვა და გამოიწვევს ჩვენში შეწუხებას  
და ამ უკანასკნელიდან წარმოადგება ის, რასაც ჩვენ  
სიბრალულს ვეძახით. ის ტანჯვა, რაც ჩვენთვის  
უცნობია, ვერ გამოიწვევს ჩვენში სიბრალულს, რად-  
გან მესხიერებას ამ შემთხვევაში არა აქვს ადგილი.  
რასაკვირველია, რამდენათაც კაცს უფრო მეტი ნერ-  
ვების გრძობიერება (sensibilité) აქვს, იმდენათ  
უფრო ძლიერია გრძობა და უფრო ცხოველია მეს-  
ხიერება. ხოლო აქედან ის უნდა დაეასკენათ, რომ  
რადგან დამნაშავეს ნერვების გრძობიერება ტყივი-  
ლისადმი დასუსტებული აქვს სიბრალულიც შემცი-  
რებული ექნება.

ზემოთ ვთქვით, რომ ხშირია ტატუაჟი დამნა-  
შავეთა შორის; ეს რასაკვირველია, სხვათა შორის  
მით აიხსნება, რომ ამგვარი ანალოგია — ტყივილის  
უგრძობლობა აქეთ დამნაშავეთ, როგორც ველურ  
ხალხთ. განა შესაძლებელია ისე აჭრებდნენ მთელი  
ტანისა სხვა-და-სხვა სურათებით, როგორც იმათ  
იციან?

ლომბროზო ამბობს, რომ ბევრჯელ დამნაშა-  
ვის ტანზე მთელი ბიოგრაფიაა გამოხატული; ხმა-  
რათ სხვა-და-სხვა ურცხვი სცენებიცაა გამოხატული  
ამ ტატუაჟში.

ხშირია აგრეთვე დამნაშავეთა შორის მარცხენა  
ხელის ხმარება. საზოგადოთ მარცხენა მხარე მთელი  
სხეულისა უფრო განვითარებული აქეთ, როგორც  
ველურ ხალხს.

აგრეთვე შენიშნულია სხვა-და სხვა ადგილებს-  
რეფლექსების შემცირება. ცნობილია ძველათ, რომ  
ზოგიერთმა, რაც უნდა დიდი დანაშაულობა ჩადი-  
ნოს, არასოდეს სირცხვილით არ გაწითლდება; დამ-  
ნაშავეთა შორის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა: ეს ნი-  
შანი მდბიო ხალხის თვალშიც კი საყურადღებოა:  
„ისე თქვა ტყუილი, რომ არც კი გაწითლდაო“. გაწითლება და გაყითლება — ეს ნერვებს რეფლექ-  
სის მიზეზია, ხოლო რადგან ამგვარ ნერვების რეფ-  
ლექსს მოკლებულნი არაან დამნაშავენი, ამიტომ

მათ არც სახის გაწითლება და გაყითლება შეუძ-  
ლიათ.

ხოლო რაც შეეხება დამნაშავეს, ტიპის ნიქს,  
ლომბროზოს აზრით, მათ შორის ცოტაა ნიქიერი,  
უფრო ხშირია ქკუა ნაკლები.

გენიოსები კიდევ უფრო იშვიათნი არიან; თუმ-  
ცა გენიოსობა ლომბროზოს აზრით ნევროზია. — დამ-  
ნაშავეთა შორის იყვენ შემდეგი ცნობილნი გენიო-  
სები: ბეკონი, სალიუსტი, სენეკა, კრემანი — კრიმი-  
ნალისტი, რუსსო, ბაირონი, Villon, Lacenaire —  
პოეტი, Benevunto — Cellini და სხვ. დაწერია  
დამნაშავეთ მიერ თხზულებები, სადაც ჩანს ნიქი,  
თუმცა ამგვარი თხზულება ბევრი არ არის.

საზოგადოთ დამნაშავეთ აქეთ თავისი ქარგონი,  
რომელიც მოგვაგონებს ველური კაცის ენას, რადგან  
დამნაშავენი არიან ველური ხალხი იმ საზოგადოება-  
ში, სადაც ისინი ცხოვრებენ.

გ. ზაღრძიე.

(შემდეგი იქნება)

ჩვენი მწერლობა.

უცივი ყოფილა, შვილო, მიწა! — ამბავი დროე-  
ბით განგეგლისა, მოამბე, № IX, 1896 წ.



ხიარულათ მივესალმებით „მოამბის“ უკან-  
სკნელ წიგნში დასტამბულ ბ. დროებით გან-  
ჯელის „ამბავს“. სიამოვნებით გადავიკითხეთ  
ეს პატარა ეტიუდი და გულით ვისურვებთ, რომ ბ.  
დროებით განჯელის დროებით განჯელობასთან  
დროებით ავტორობაც არ იქნეს დაკავშირებული და  
კიდევ გვაჩვენოს თავისი უტყუარი ნიქის ცოცხალი  
მაგალითები.

ავტორმა დაგვიხატა ოჯახის ბედ-იღბალი, მისი  
მყუდრო ბედნიერება და ამ ბედნიერების უდროეო და  
უწყალო სიკვდილი, დაგვიხატა გრძობიერი და წრფე-  
ლი გულით.

დღე-მამა და მათი სამი პაწია ბავში, ამ ხუთი  
არსების კავშირი, მათი ცოცხალი სიყვარულის პოე-  
ზია გვაჩვენა ავტორმა მარტივათ, თვის თავზე და  
მკითხველზე ძალ-დაუტანებლათ და თავისუფლათ,  
ნამდვილ ისე უტყუერათ, როგორც თვით ცხოვრე-  
ბას ჩაუსახავს იგი ავტორის გულში და ამიტომ მკი-

თხველის გულსაც მოხედა და ააძვრა. გულს მხოლოდ გულის მხატვრობა ჰხედება და ასაზრდოებს.

პირველ სცენაში გამოჩნდება მამის, დეითის, შეწუხებული სახე და იმწამსვე ჰქრება და ადგილს უთმობს მისი ოჯახის მხიარულ ბედნიერების სურათს. ჩვენ სულ გვაეჩუქება, რომ შეილის ავთმყოფობამ დაანაღვლიანა მამა მისი. ავტორმა ოჯ. ხის წარსულში შეალო კარი, შიგ შეგახედა და მისი ცოცხალი ბედნიერება გადაგვიშალა თვალ წინ.

ბ. დროებით განჯელის ნიჭი იმ დარგს ეკუთვნის, რომელსაც ცხოვრების გარეგანი მოძრაობის, სიცოცხლის ხილული ჰარმონიის სააღმდეგო აქვს შეგნებულ — შეთვისებულ და ეისურვებთ მისთვის ამ გზაზე კეთილ წარმატებას. ამ ჰარმონიის ძლიერება კეთილ — ჰუმანური ძლიერებაა. ადამიანის მოძრაობა-მოქმედება მისი სულის სიცოცხლე-მოძრაობის გამოხატულია. თუ ადამიანს გულში „ღვთიანი გრძობა უდღულს“, მისი შუქი ყოველ მის მიხერამოხერაში, ყოველ მის სიტყვაში, ყოველ მის ღიმილში გამოსტევის ხოლმე. პოეტი უბრალო, ყოველ-ღლიურ მოქმედებთაც გამოიცნობა. „ფრინველი რომ დადის, მაშინაც შეეტყობა, რომ ფრთებშესხმულიაო“.

თვალი გადავლეთ ახლა ჩვენი ავტორის ეტიუდში ბავშვების ცელქობა-თამაშს. ეს სცენა ყველაზე ლამაზათ აქვს ავტორს გამოსახული: სამი მოთამაშე პირიკია: კოტე, ლადო, მაშო და ერთი „პატალა ლეკი“ (ლეკვი) ცუბა. ბავშვების თამაშის უმანკო ჰარმონია, მათი მოძრაობის ფსიხოლოგია ნათლათ გვიჩვენებთ თვალ წინ, გვიჩვენებთ გარეგნობით, მათი პატარა ლამაზი სულებს შეუხებლათ, მაგრამ ჩვენ მაინც გავიცანით ამ ლამაზი სულების პაწია ფსიხოლოგია, მათი საყვარელი უმანკობა და ამ ცნობამ მხიარულება დაბადა ჩვენ გულში. ბავშვების თამაშ-ქრიამულს ჩვენი გულს ეწყობა და ბანს აძლევს. უტყუარი ნიშანია მისი, რომ ავტორი მიხედა, რასაც ეძებდა.

პატარა ლეკვი, — ცუბა რა არის, ისიც ნამდვილ ლეკვურათ ირჯება, ნამდვილ პაწია ფინიურათ უჭირავს თავი ბავშვების მხიარულებაში.

მოთამაშე პაწიები „პატალა ლეკვს“ რომ ვერ დაინახავდენ, დაუწყებდენ ქებანს.

— მაშო, ცუბა რა იქნა?

— ტასტ ქვეშ დაიმაჯებოდა, ან შკაფს ამოეფარებოდა — შესასხებდა მაშო ლადოს კოტე და მაშო მეორე ოთასში გაბოადენ, ლადო კი ტასტ ქვეშ ექებდა ცუბას.

— არიქა, მიშეკეთ, აქ არის! მოდი, კოტე, გამოკათროთ! — ვფიროდა სოღმე ლადო.

კოტე და მაშო ასლა ტასტისკენ გაბოადენ. აი, ეველანი მოექცნენ ტასტ ქვეშ. დასკეს კიჟინა სცოდაც ცუბას.

— არიქა, კოტე, არ გაუშვა! მაშო, მოჰკიდე ხელი კუდში, ნუ გეშინია, არ გიკბენს, ჩვენი ცუბა! მაგრამ, სანამ მაშო ცუბას კუდში სტატებდა სკელს, კოტეს უკვე მაგრამ ეჭვად ჩაბღუჯული „ლეკი“ და გარეთ, ისტატის შუბგულზე მოათრევდა. აი, ეველანი გამოვიდნენ ტასტ ქვეშიდან, სტატეს სელი ცუბას და ეველა თავისკენ ექებდა.

არ ეცი, მიაქცია თუ არა მკითხველმა ყურადღება ჩემგან ხაზ-გასმულ სტრაქონს: „მაშო მოჰკიდე ხელი კუდში, ნუ გეშინია, არ გიკბენს, ჩვენი ცუბა“. ამ სტრიქონში მომწყვდეული ბავშვის ძახილი იმით არის შესანიშნავი, რომ ერთბაშათ ბავშვის სულიც გაგვაცნო და ცუბას ხასიათიც. მთელი სტრიქონიც არ გეინდა, ორმა სიტყვამ დაგვიანლოვა ეს ორი პაწია სურვილი „ჩვენი ცუბააო“! ამ ორმა სიტყვამ ის ქნა, რომ ბავშვების ცუბა, ახლა მარტო მათი განუყოფელ-საკუთარი ცუბა როდია, ჩემი ცუბაც არის შენი ცუბაც, მკითხველო, ბავშვებისა და ჩვენი და მთელი საქართველოს საერთო და საყვარელი ცუბა. როგორ მოხდა ასე უცებ ასეთი უცნაური მანქანება, პაწია ცუბას ასეთი მოულოდნელი გაქვეყნიერება? იმიტომ მოხდა, ბ. მკითხველო, რომ ბავშვის მეტი, სხვა ვერაფერ იტყოდა ასე ალაღ-ბავშურათ „ნუ გეშინია, ჩვენი ცუბააო“ და ცუბას მეტი სხვა ვერაფერ ათქმევინებდა ბავშს ასე ლამაზათ ამ გამამხნეველ სიტყვებს. ბავშვს გულთ უყვართ მათი პატარა ლეკვი, და კუდითაც რომ გამოათრონ ტასტ ქვეშიდან, წინ და წინ იციან, რომ იმ კუდს ბუნების ძალით მასთან დაკავშირებული პაწია და გულ კეთილი ცუბა გამოჰყვება, „მათი ცუბა“, რომელიც არც უკბენს, არც რამეს დაუშავებს იმათ, მხოლოდ გაჯავრებულობას დაიჩემებს, თითქო მწყურათ უღრენს, მაგრამ იმწამსვე ისევ „ჩვენი ცუბააო“

ბის“ ქერქში შევა და ბავშვებთან მხიარულათ განაგრძობს თამაშს.

ასე ცოცხლათ გვიხატავს ჩვენი ავტორი ოჯახის მხიარულ ალიაქოსს, აგრეთვე ბავშვებისა და მათი მშობლების წრეებს და უანგარო სიყვარულს.

ამას შემდეგ კი, ჩვენდა საუბედუროთ, დასაწყისში ლამაზათ განათებულ ეტიუდს მოულოდნელი ჩრდილი მიეფინება. მის სტრიქონთ შუა თავს ამოპყვოს ტენდენცია, ნაძალადევი განზრახვა და თავისი უღროგო გამოჩენით ბ. დროებით განჯელს საქმეს უფუჭებს.

საცეკვაო დარბაზში ცეკვა-თამაშია გაჩაღებული, სხვათა შორის, მკრთლათ დასურათებული, და ამ მკრთალ სურათის ერთ პაწია მკრთალ კუთხეში ავტორმა ერთ ჯგუფ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულ ახალგაზდებს დაუდგა მაგიდა, გარს შემოუსვა ისინი და მკრთალ-ტენდენციურათ ალაპარაკა. ტემა—„ბევრ ათასეულ“ ენათაგან წერილობით დასერილ-დაკემსილი ნასწავლ ახალგაზდობის კიცხვა-კრიტიკა, ტემა ჩვენ ქართულ ცხოვრებაში, უსულო, როგორც ცხვრის კატლეტო, მაგრამ ცხვრის კატლეტზე ბევრათ უფრო უგემური და ძნელ-მრსანელბებელი. „რა არის მიზეზი იმისა, რომ გაათლებული ახალ-გაზდობა ცხოვრებაში ადრე იცვლის ფერსა და იერს და თავისი საკუთარი კუჭის ქურუმათ ხდება“?

„მაგიდელი“ ახალგაზდობა ამ კითხვას აყენებს მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, სრულებით ვერ ხსნის.

იქნება იფიქროს ვინმემ ჩემზე, უთუოთ „იმიტომ სისინებს, რომ მის ახალგაზდა თავმოყვარეობას კულზე დაჰკირეს ფეხიო“. ეს შემცლარი ფიქრია. ჩვენი ავტორის ეტიუდში მე არც ახალგაზდობის თვორიული მგომბელნი მამწონან და არც ახალგაზდობის პრაქტიკული დამცველი-ყმაწვილი ექიმი. ყველანი-ფშუტუროები არიან, სიცოცხლის ნიშან წყალი არ ატყვიათ და იმიტომ გულთ ევრჩევთ ჩვენ სიმპატიურ ავტორს ამგვარ ტენდენციებს მოერიდოს, იმ ფშუტურო ტენდენციებს, რომელთაც მხოლოთ ცხოვრების ტყავი აქეთ გადაკრული, გულ-ღვიძლი კი ბამბისა აქეთ და თვალები შლშისა. ამისთანა კითხვებს გაკვრით შეხება კი არა, დაკვირვებულნი, დინჯი მსჯელობა უნდა, თორემ ისეც არეულ-დარეულია ამ საგანზე ჩვენი საზოგადოებრივი ზრი.

არ ეცი, რათ დასკირდა ბ. ავტორს ტენდენციობა. პაწია კოტე ავთ გახდა, განა არ ჯობდა ცოცხალი ექიმი მოყვანა მასთან ავტორს და არა ტენდენციის ქებაში ამოვლებული და მოხარული?

კურს-ნაყლაპი ყმაწვილები (?) ახალგაზდობას ჰკიცხავენ. „აი მე თქვენ ამ წაშვე გაჩვენებთ, რაც არის ახალგაზდობა“—ამბობს ყმაწვილი ექიმი, დგება, ეახშამს თავს ანებებს და ავთამყოფ ბავშვთან მიჰყვება დავითს მისაშველებლათ.

„სულელი“! — წამოიძახა ერთმა ჩასუქებულმა ამხანაგმა

მთელი ეს სცენა უსულოთ და რიხიანათ წამონასროლია და იმიტომ ჩვენ მას გვერდს ავუტყვევთ და სიამოვნებით გავიზიარებთ, რომ მას შემდეგ ავტორი ისევე თავის კალაპოტში შედის და წმინდა გრძობით გვიხატავს პაწია ბავშვის სიკვდილს და მშობლების მწუხარებას. მხოლოთ ერთი უნდა შევნიშნოთ. მამის მწუხარება დედის მწუხარებისაგან არ განირჩევა, ექსპანსივური, ცხად-გრძობიერია. მამაკაცმა უფრო თავ-დაჭერილი, გულ-ჩახვეული მწუხარება და მხიარულება იცის. დავითის სიტყვა შეილის ცხედარზე მალალი და პათეთიურია და შთაბეჭდილებას ახდენს.

კიდევ ერთი რჩევა უნდა მიეცეთ ავტორს გულახდილათ. ჯეროვანათ ყურადღებას არ აქცევს ავტორი თავისი სურათების ფონს, იმ მიდამოს, სადაც მოქმედება წარმოებს. რაც მისგან დასურათებულ ოჯახის ბედ-იღბალს არ შეეხება, მისი გარემო, აჩქარებულათ აქვს ავტორს შემოხაზული. ფონს კი სურათზე არა ნაკლები დაკვირვება უნდა. ნათელი მხოლოთ ბნელსა შინა ჩანს ბრწყინვალეთ და დაუშრეტელათ.

o. ნ — შიქი.



უტრნალ-გაზნეთებიდან.



ახეთი „Недѣля“-ს სიტყვით, რუსეთის ყველა კუთხეებში შეკრებულ ცნობებიდან ჩანს, რომ, როგორც მალაღ, ისე საშუალ და დაბალ სასწავლებელში ვაკანსიება სრულებით არ აკმაყოფილებენ განათლების მსურველთა მოთხოვნი-

ლებას. მეტის-მეტი ეიწროობაა, განსაკუთრებით, მა-  
ლალ ტეხნიკურ სასწავლებელში. სამთო ინსტრუქტორში,  
მაგ., 70 ვაკანსიაზე 530 კაცი იქერდა ეგზამენს ამ  
წელს. ტომკ-ს უნივერსიტეტმა ცი ბეერს უთხრა  
წელს უარი-

\* \*

სამეურნეო ჟურნალ „Хозяини“ის გამოცხადდა  
პირველი გაფთხილება № 37-ში დაბეჭდილ სტატიის  
გამო შემდეგი სათაურით: „ეროპის დაუსწრებლობა  
რუსეთის მრეწველობის დღესასწაულზე (Отсутствия  
земства на праздник русской промышленности) („Не-  
дѣля“).

\* \*

კ. ე. ტრუბნიკოვს ნება დართეს, რომ გამოსცეს  
პეტერბურგში უცნებურით ყოველ დღიური პოლი-  
ტიკური, ლიტერატურული და ეკონომიური გაზეთი,  
სახელათ: „Мирные Отголоски“. ოდესაში პროფ ნ.  
ე. ჩიჟოვსაც მიეცა ნება ყოველ დღიური დიდი გა-  
ზეთის გამოცემისა „Южное Обозрѣніе“-სა.

\* \*

ინგლისი. 19 სექტემბერს ინგლისში რამდენ-  
იმე მიტინგი (კრება) იყო გამართული პრო-  
ტესტის გამოსაცხადებლათ სათათრეთის უწყალო მო-  
ქმედების წინააღმდეგ. ყველაზე უფრო სინტერესო  
იყო ქ. ლევენის კრება, რომელზედაც სიტყვა წარ-  
მოთქვეს: ასკეტიზმა და ცნობილმა ბრაისმა. ორივე  
ორატორები ლაპარაკობდნ სომხების სასარგებლოთ,  
ინგლისის ენერგიულ გარევის აუცილებლობაზე,  
იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც ინგლისს განცალკევ-  
ბულათ მოუხდეს მოქმედება ამ საქმეში, მაგრამ ორა-  
ტორების ჯწმენით, ხმელეთის სახელმწიფოანი და  
უმეტესათ რუსეთი, როცა დარწმუნდებან ინგლისს  
უანგარობაში, დაეხმარებიან მას სათათრეთის ქრის-  
ტიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამას  
წინეთ „დიდმა მოხუცმა“, გლადსტონმა, ლივერპუ-  
ლის მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო ამავე მი-  
ზნით, განმარტა თავის შეხედულება სათათრეთის სა-  
ქციელის შესახებ. გლადსტონის აზრით სომხების  
შესახებ ყველა პარტიები უნდა შეთანხმდნ. თუ  
ინგლისის მთავრობა ამ საქმეში ვერ შეუთანხმდე-

ბა სხვა სახელმწიფოებს, იმ შემთხვევაში დამოუ-  
კიდებლათ უნდა დაიწყოს მოქმედება და ძალდა-  
ტანებითი ზომები უნდა იხმაროს სულთანის წინა-  
აღმდეგ. ამნაირი ზომა არ გამოიწვევს ომს. „მე ვფი-  
ქრობო—თქვა გლადსტონმა, რომ არც ერთი ევ-  
როპის სახელმწიფო არ დაიწყებს ომს იმისათვის, რომ  
ხელი მოუშართან ქლექტას“. მიტინგმა, ერთ ხმათ  
მიიღო გლადსტონის წინადადება.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამ  
უკანასკნელ დროს ევროპის და რუსეთის გაველნიანი  
გაზეთები უფრო ხშირათ ამბობენ, რომ ამ ქამათ  
უკვე მოლაპარაკება არის რუსეთს, ინგლისს და სა-  
ფრანგეთს შუა შესახებ საერთო მოქმედებისა სომ-  
ხებს-ს საქმეში, ჩვენ ვავიგებთ, თუ რა მნიშვნელობა  
უნდა ჰქონდეს გლადსტონის აზრს. ასეა თუ ისე,  
მხოლოთ ის უნდა შევნიშნოთ, რომ გლადსტონის  
საქციელმა სომხების საქმეში დიდი განხეთქილება  
გამოიწვია ლიბერალურ დასში. ამ დასას აწინდელი  
მეთაური, როზბერი, სრულებით არ ეთანხმება გლად-  
სტონს იმ ზომების შესახებ, რომლებიც, ამ უკანა-  
სკნელის აზრით, ინგლისის მთავრობამ უნდა მიიღოს  
სათათრეთის წინააღმდეგ. ამიტომ როზბერიმ თავი  
დანება ლიბერალურ დასის მეთაურობას. გაზეთები  
არ ამართლებენ როზბერის ამ ნაირ საქციელს.

\* \*

„კეკეკში“ წერია: ვაზეთი „Celestive Em-  
pire“-ის სიტყვით ტანზინში ადგილობრივ ლენერალ  
გუბერნატორის თეოსნობით ამ ცოტა ხანში იხსნე-  
ბა სკოლა, სადაც ჩინელებს ასწავლებენ ფუსულ ენას.

\* \*

ამ ცოტა ხანში ამერიკაში იქნება პრეზიდენტის  
ამორჩევა და გაზ. „Daily News“-ს სიტყვით ორ  
პირს, რომელთაც უნდათ პრეზიდენტობა, მაკ—კინ-  
ლეის და ბრაიანს სხვა-და-სხვა ქალაქებში სიარულის  
დროს წარმოუთქვამთ სიტყვები. მაკ—კინლეის ჯერ-  
ჯერობით 91 სიტყვა უთქვამს და მის მოწინააღმ-  
დეგს, ბრაიანს 226.

\* \*

ამ დღებში გარდაცვალა ჩეხების ცნობილი

პუბლიცისტი და ახალ-ჩეხების დასის ორგანოს „Narodni Listy“-ს რედაქტორი, იული გრეგრი; ის იყო უმცროსი ძმა კარგათ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, ედუარდ გრეგრისა. იული გრეგრი დაიბადა 1831 წ. და იურიდიული განათლების მიღებას შემდეგ, 1861 წელს, პალატთან და რიგერთან ერთად დააარსა გაზეთი „Nar. Lis.“, პირველი დამოუკიდებელი პოლიტიკური გამოცემა ჩეხურ ენაზე. როცა ჩეხები დაიყვენ ორ პარტიათ: ძველ-ჩეხებათ და ახალ-ჩეხებათ, ეს გაზეთი შეეკვლა ახალ-ჩეხებს. გაზეთთან ერთად გრეგრმა დააარსა დიდი სტამბა და შეადგინა წიგნის გამოცემის ამხანაგობა, რომელსაც მიხნათ ჰქონდა ჩეხიის ლიტერატურის საფუძვლიანი გავრცელება. იული გრეგრი იყო ჩეხიის სენიმის წევრი და 1880 წლამდის ვენის რეისტრატის დეპუტატი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერკილისა

# განცხადება

„კ ვ ა ლ ი“- ეღირება 1-ი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე 2 მან. (თამაშოვის სახლი, გოლოვინის პროსპექტის შესახვევში, კორპუსის გვერდით

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება აკულის რედაქციაში 1 მ. 50 კ. გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.

მიიღება ხელის მოწერა

„ასახლი ქართული უოკალ-დღიურ გაზეთზედ“

## „სნობის ფურცელზე“

ფასი: წლიურად 6 მან. ნახევარ წლით 4 მ. ერთის თვით 1 მან.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

„შირველი ნომერი გამოვა ამ წლის ოქტომბრის 20-ში“

ფასი წლის დამლევამდე ერთი მანეთი

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში:** წერა-კითხვ. გიმაერცელ. საზოგად. წიგნის მაღაზიაში, ძუთაისში ე. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში, ბა-

თოში მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში ალექსანდრე გუგუშვილთან, სოხუმი თედო სახოკიასთან **ოზურგეთში** და **ახალსენაქში** კ. თვარტიკილასთან წიგნ. მაღაზიაში, **სიღნაღში** დიმიტრო მაჩხანაშვილთან (ნადირაძე), **თელ შში** ილია იმერლიაშვილთან, **ქაშვეში** ლ. ბოცვაძესთან, **სურამში** იოსებ მესხთან, **მიხეილთოში** ლექტორ მესხთან და ყველა სააოფლო ქართულ ბიბლიოთეკებში.

რედაქტორ გამომცემელი ვალკიან გუნია.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთსმეტე)

კურსების დაიწყოლება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნებია იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტო, ორკეციც და საბანკო, 4) არითმეტიკა სახგარისო „ოთჯოთ, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) საგაჭრო და სათამაშო ქვადეპანი, 7) მსწრაულ-წერა და წერა გაჭრული და შროიანი (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემოსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში სახლი ალექსანდრე ფრედონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველთა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოეების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს მ. მანუელაშვილს, ტუილიში.

(12—10)